ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი აცხადებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების /მიწის ნაკვეთები/ ელექტრონულ აუქციონს:

1. ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა მე-2 შესახვევი N42გ-ში (ნაკვეთი N3) მდებარე მიწის ნაკვეთის პრივატიზებისათვის.
ა. საწყისი ფასი შეადგენს 104783 /ას ოთხი ათას შვიდას ოთხმოცდასამი/ ლარს.
ბ. „ბეს“ ოდენობა შეადგენს 31435 /ოცდათერთმეტი ათას ოთხას ოცდათხუთმეტი/ ლარს.
გ. ბიჯი განისაზღვროს 3000 /სამი ათასი/ ლარის ოდენობით.

2. ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა მე-2 შესახვევი N20-ის დასავლეთით მდებარე მიწის ნაკვეთის პრივატიზებისათვის.
ა. საწყისი ფასი შეადგენს 17585 /ჩვიდმეტი ათას ხუთას ოთხმოცდახუთი/ ლარს.
ბ. „ბეს“ ოდენობა შეადგენს 5276 /ხუთი ათას ორას სამოცდათექვსმეტი/ ლარს.
გ. ბიჯი განისაზღვროს 1000 /ათასი/ ლარის ოდენობით.

3. ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა პირველი შესახვევი N9ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის პრივატიზებისათვის.
ა. საწყისი ფასი შეადგენს 14850 /თოთხმეტი ათას რვაას ორმოცდაათი/ ლარს.
ბ. „ბეს“ ოდენობა შეადგენს 4455 /ოთხი ათას ოთხას ორმოცდათხუთმეტი/ ლარს.
გ. ბიჯი განისაზღვროს 1000 /ათასი/ ლარის ოდენობით.

4. ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა მე-2 შესახვევი N32დ-ში (ნაკვეთი N1) მდებარე მიწის ნაკვეთის პრივატიზებისათვის.
ა. საწყისი ფასი შეადგენს 17861 /ჩვიდმეტი ათას რვაას სამოცდაერთი/ ლარს.
ბ. „ბეს“ ოდენობა შეადგენს 5359 /ხუთი ათას სამას ორმოცდაცხრამეტი/ ლარს.
გ. ბიჯი განისაზღვროს 1000 /ათასი/ ლარის ოდენობით.

5. ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა მე-2 შესახვევი N32ე-ში (ნაკვეთი N2) მდებარე მიწის ნაკვეთის პრივატიზებისათვის.
ა. საწყისი ფასი შეადგენს 24385 /ოცდაოთხი ათას სამას ოთხმოცდახუთი/ ლარს.
ბ. „ბეს“ ოდენობა შეადგენს 7316 /შვიდი ათას სამას თექვსმეტი/ ლარს.
გ. ბიჯი განისაზღვროს 1000 /ათასი/ ლარის ოდენობით.

6. ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა მე-2 შესახვევი N58-ში (ნაკვეთი N1) მდებარე მიწის ნაკვეთის პრივატიზებისათვის.
ა. საწყისი ფასი შეადგენს 47975 /ორმოცდაშვიდი ათას ცხრაას სამოცდათხუთმეტი/ ლარს.
ბ. „ბეს“ ოდენობა შეადგენს 14393 /თოთხმეტი ათას სამას ოთხმოცდაცამეტი/ ლარს.
გ. ბიჯი განისაზღვროს 1000 /ათასი/ ლარის ოდენობით.

7. ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა მე-2 შესახვევი N23ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის პრივატიზებისათვის.
ა. საწყისი ფასი შეადგენს 3900 /სამი ათას ცხრაასი/ ლარს.
ბ. „ბეს“ ოდენობა შეადგენს 1170 /ათას ას სამოცდაათი/ ლარს.
გ. ბიჯი განისაზღვროს 500 /ხუთასი/ ლარის ოდენობით.

8. ქალაქ ქუთაისში, ლეონიძის ქუჩა N6-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის პრივატიზებისათვის.
ა. საწყისი ფასი შეადგენს 22750 /ოცდაორი ათას შვიდას ორმოცდაათი/ ლარს.
ბ. „ბეს“ ოდენობა შეადგენს 6825 /ექვსი ათას რვაას ოცდახუთი/ ლარს.
გ. ბიჯი განისაზღვროს 1000 /ათასი/ ლარის ოდენობით.

9. ქალაქ ქუთაისში, სოლომონ მეორის ქუჩა N45-ის სამხრეთით მდებარე მიწის ნაკვეთის პრივატიზებისათვის.
ა. საწყისი ფასი შეადგენს 925 /ცხრაას ოცდახუთი/ ლარს.
ბ. „ბეს“ ოდენობა შეადგენს 278 /ორას სამოცდათვრამეტი/ ლარს.
გ. ბიჯი განისაზღვროს 500 /ხუთასი/ ლარის ოდენობით.

10. ქალაქ ქუთაისში, სოლომონ მეორის ქუჩა N45-ის სამხრეთით მდებარე მიწის ნაკვეთის პრივატიზებისათვის.
ა. საწყისი ფასი შეადგენს 1750 /ათას შვიდას ორმოცდაათი/ ლარს.
ბ. „ბეს“ ოდენობა შეადგენს 525 /ხუთას ოცდახუთი/ ლარს.

გ. ბიჯი განისაზღვროს 500 /ხუთასი/ ლარის ოდენობით.

11. ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა პირველი შესახვევი N13ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის პრივატიზებისათვის.
ა. საწყისი ფასი შეადგენს 52830 /ორმოცდათორმეტი ათას რვაას ოცდაათი/ ლარს.
ბ. „ბეს“ ოდენობა შეადგენს 15849 /თხუთმეტი ათას რვაას ორმოცდაცხრა/ ლარს.
გ. ბიჯი განისაზღვროს 2000 /ორი ათასი/ ლარის ოდენობით.

12. ქალაქ ქუთაისში, განჯის ქუჩა პირველი შესახვევი N42ა-ს აღმოსავლეთით მდებარე მიწის ნაკვეთის პრივატიზებისათვის.
ა. საწყისი ფასი შეადგენს 67500 /სამოცდაშვიდი ათას ხუთასი/ ლარს.
ბ. „ბეს“ ოდენობა შეადგენს 20250 /ოცი ათას ორას ორმოცდაათი/ ლარს.
გ. ბიჯი განისაზღვროს 2000 /ორი ათასი/ ლარის ოდენობით.

13. ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N42ბ-ს სამხრეთით მდებარე მიწის ნაკვეთის პრივატიზებისათვის.
ა. საწყისი ფასი შეადგენს 11440 /თერთმეტი ათას ოთხას ორმოცი/ ლარს.
ბ. „ბეს“ ოდენობა შეადგენს 3432 /სამი ათას ოთხას ოცდათორმეტი/ ლარს.
გ. ბიჯი განისაზღვროს 1000 /ათასი/ ლარის ოდენობით.

14. ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N47-ის დასავლეთით მდებარე მიწის ნაკვეთის პრივატიზებისათვის.
ა. საწყისი ფასი შეადგენს 1650 /ათას ექვსას ორმოცდაათი/ ლარს.
ბ. „ბეს“ ოდენობა შეადგენს 495 /ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი/ ლარს.
გ. ბიჯი განისაზღვროს 500 /ხუთასი/ ლარის ოდენობით.

15. ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა მე-2 შესახვევი N2ა-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის პრივატიზებისათვის.
ა. საწყისი ფასი შეადგენს 3575 /სამი ათას ხუთას სამოცდათხუთმეტი/ ლარს.
ბ. „ბეს“ ოდენობა შეადგენს 1073 /ათას სამოცდაცამეტი/ ლარს.
გ. ბიჯი განისაზღვროს 500 /ხუთასი/ ლარის ოდენობით.

16. ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა მე-2 შესახვევი N23-ის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მიწის ნაკვეთის პრივატიზებისათვის.
ა. საწყისი ფასი შეადგენს 1500 /ათას ხუთასი/ ლარს.
ბ. „ბეს“ ოდენობა შეადგენს 450 /ოთხას ორმოცდაათი/ ლარს.
გ. ბიჯი განისაზღვროს 500 /ხუთასი/ ლარის ოდენობით.

17. ქალაქ ქუთაისში, ლ. ასათიანის ქუჩა N96-ის სამხრეთით მდებარე მიწის ნაკვეთის პრივატიზებისათვის.
ა. საწყისი ფასი შეადგენს 5875 /ხუთი ათას რვაას სამოცდათხუთმეტი/ ლარს.
ბ. „ბეს“ ოდენობა შეადგენს 1763 /ათას შვიდას სამოცდასამი/ ლარს.
გ. ბიჯი განისაზღვროს 500 /ხუთასი/ ლარის ოდენობით.

18. ქალაქ ქუთაისში, შარტავას ქუჩა N2-ის სამხრეთით მდებარე მიწის ნაკვეთის პრივატიზებისათვის.
ა. საწყისი ფასი შეადგენს 6840 /ექვსი ათას რვაას ორმოცი/ ლარს.
ბ. „ბეს“ ოდენობა შეადგენს 2052 /ორი ათას ორმოცდათორმეტი/ ლარს.
გ. ბიჯი განისაზღვროს 500 /ხუთასი/ ლარის ოდენობით.

19. ქალაქ ქუთაისში, ლომოურის ქუჩა N6-ის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მიწის ნაკვეთის პრივატიზებისათვის.
ა. საწყისი ფასი შეადგენს 33030 /ოცდაცამეტი ათას ოცდაათი/ ლარს.
ბ. „ბეს“ ოდენობა შეადგენს 9909 /ცხრა ათას ცხრაას ცხრა/ ლარს.
გ. ბიჯი განისაზღვროს 1000 /ათასი/ ლარის ოდენობით.

20. ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N11-ის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მიწის ნაკვეთის პრივატიზებისათვის.
ა. საწყისი ფასი შეადგენს 6750 /ექვსი ათას შვიდას ორმოცდაათი/ ლარს.
ბ. „ბეს“ ოდენობა შეადგენს 2025 /ორი ათას ოცდახუთი/ ლარს.
გ. ბიჯი განისაზღვროს 1000 /ათასი/ ლარის ოდენობით.

21. ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N25ა-ს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მიწის ნაკვეთის პრივატიზებისათვის.
ა. საწყისი ფასი შეადგენს 21975 /ოცდაერთი ათას ცხრაას სამოცდათხუთმეტი/ ლარს.
ბ. „ბეს“ ოდენობა შეადგენს 2025 /ორი ათას ოცდახუთი/ ლარს.

გ. ბიჯი განისაზღვროს 1000 /ათასი/ ლარის ოდენობით.

აუქციონში მონაწილეობის წესი და პირობები

1. ელექტრონული აუქციონის ფორმით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი შეიძლება იყოს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების პროცესში მონაწილეობის უფლების მქონე ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

2. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა:

ა) შესაბამის ვებ-გვერდზე დარეგისტრირება (რეგისტრირდებიან როგორც ფიზიკური, ასევე, იურიდიული პირები);

ბ) რეგისტრაციის დროს ელექტრონული აუქციონის წესების გაცნობა და მათზე თანხმობის გაცხადება;

გ) პირობებიანი აუქციონის შემთხვევაში, ელექტრონული აუქციონის პირობების გაცნობა;

დ) საბანკო დაწესებულების მეშვეობით, აგრეთვე, „ინტერნეტბანკინგის“, საბანკო პლასტიკური ბარათისა და სხვა ელექტრონული საშუალებების მეშვეობით, „ბეს“ გადახდა ან უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარდგენა/გააქტიურება (ელექტრონულად).

ე. ელექტრონული აუქციონის შესაბამის ვებ-გვერდზე მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომია ლოტის სრული ღირებულების გადახდის, ასევე, „ბეს“ /უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის გადახდის ფორმები. აღნიშნული ფორმები შეიცავს ინფორმაციას გადამხდელის, ლოტის (ლოტის სრული ღირებულების მითითებით) და აუქციონატორის შესახებ, დასახელებისა და ანგარიშის/ანგარიშების ნომრ(ებ)ის მითითებით.

ვ. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო პირობებიანი ელექტრონული აუქციონის შემთხვევაში - ელექტრონული აუქციონის პირობებით გათვალისწინებულ ვადაში, იხდის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრულ ღირებულებას. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენმა ოქმსა და ხელშეკრულებაში მითითებულ ანგარიშზე უნდა შეიტანოს თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ ელექტრონულ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს ან/და საგარანტიო თანხას/„ბეს“ და სრული ღირებულების ოდენობას შორის არსებულ სხვაობას.

ზ. ელექტრონულ აუქციონში დამარცხებულ მონაწილეებს „ბე“ /უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ დაუბრუნდებათ ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

3. ელექტრონული აუქციონი ტარდება ონლაინ რეჟიმში.

4. ელექტრონული აუქციონის ვაჭრობის დროს ფასის მატება ჩანს ონლაინ რეჟიმში.

5. ელექტრონული აუქციონის დასაწყისად ითვლება მისი შესაბამის ვებგვერდზე გამოცხადების მომენტი.

6. ელექტრონულ აუქციონში მონაწილე პირს, რომელსაც სურს საწყისი საპრივატიზებო საფასურიდან დაიწყოს ვაჭრობა, ონლაინ რეჟიმში ამატებს ფასს (რაც ნიშნავს საწყის საპრივატიზებო საფასურზე ბიჯის დამატებას), რომელიც, ასევე, ფიქსირდება ონლაინ რეჟიმში. ვაჭრობა გრძელდება, სანამ რომელიმე მონაწილე არ დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს. მუნიციპალიტეტის ქონება ითვლება გაყიდულად ელექტრონული აუქციონის იმ მონაწილეზე, რომლის მიერაც, ონლაინ რეჟიმში, ვაჭრობის დასრულების მომენტისთვის, შეთავაზებული იქნება ყველაზე მაღალი ფასი.

7. თუ ელექტრონული აუქციონის დასრულებამდე (მითითებული უნდა იყოს ელექტრონული აუქციონის დასრულების ზუსტი დრო) ბოლო 2 წუთის განმავლობაში შეთავაზებული იქნება ახალი ფასი, მაშინ ფასის შეთავაზების დრო გაგრძელდება 2 წუთით, დასრულების მითითებული მომენტიდან. თუ ამ დროის განმავლობაში შეთავაზებული იქნება ახალი ფასი, დრო კიდევ გაგრძელდება 2 წუთით, სანამ არ დაფიქსირდება საბოლოო თანხა. მაგრამ, თუ დამატებული დროის განმავლობაში ახალი ფასი არ იქნება შეთავაზებული, ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება საბოლოო ფასის შემთავაზებელი პირი.

8. ვაჭრობის დასრულებისას, გამარჯვებულსა და ელექტრონული აუქციონის სხვა მონაწილეებს, ელექტრონული გზით, გაეგზავნებათ ინფორმაცია ელექტრონული აუქციონის შედეგების შესახებ, რაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად.

9. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულს, ელექტრონული გზით, ეცნობება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების სრულად გადახდის თარიღი და პირობები, რაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად.

10. თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც ამ წესის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაიხადეს „ბე“ ან წარადგინეს/გააააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ ამ წესის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე გადახდილი „ბე“ ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ირიცხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

11. ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ წარდგენილი „ბე“ /გადახდილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ სრულად ირიცხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ:

ა) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა;

ბ) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სრულად არ გადაიხადა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის შემენილი ქონების სრული ღირებულება.

12. „ბე“ /უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ აგრეთვე, სრულად ირიცხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ აუქციონის მონაწილემ დაარღვია კოდექსითა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის N65 დადგენილებით დამტკიცებული წესით განსაზღვრული წესი ან/და პირობები.

13. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო პირობებიანი ელექტრონული აუქციონის შემთხვევაში - ელექტრონული აუქციონის პირობებით გათვალისწინებულ ვადაში, იხდის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის შემენილი ქონების სრულ ღირებულებას. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენმა ოქმსა და ხელშეკრულებაში მითითებულ ანგარიშზე უნდა შეიტანოს თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ ელექტრონულ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს ან/და „ბეს“ /საგარანტიო თანხას/ და სრული ღირებულების ოდენობას შორის არსებულ სხვაობას.

14. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს „ბე“ /უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

15. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის შემენილ ქონებაზე საკუთრების უფლება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს გადაეცემა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის შემენილი ქონების სრული ღირებულების ანაზღაურების შემდეგ, შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის მომენტიდან, ხოლო პირობებით გამოცხადებული ელექტრონული აუქციონის შემთხვევაში, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გაიცემა ელექტრონული აუქციონის პირობების შესრულების შემდეგ.

16. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენზე საკუთრების უფლება გადადის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის შემენილი ქონების სრული ღირებულების სრულად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის შემენილი ქონების შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენმა უნდა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენზე საკუთრების უფლება გადადის ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით.

17. თუ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი უპირობო ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებისას, დადგენილ ვადებში არ გადაიხდის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების სრულ ღირებულებას, მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონებაზე, „ბე“ /უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია არ დაუბრუნდება და გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება.

18. პირობებით გამოცხადებული ელექტრონული აუქციონის შემთხვევაში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი ვალდებულია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის შემენილი ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას ოქმითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (ელექტრონული აუქციონის პირობები), მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და მოთხოვნისთანავე, მათი შესრულების თაობაზე წარუდგინოს ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს. შესაძლებელია, ოქმითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნეს ინფორმაციის წარდგენის სხვა ვადა.

19. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის შემენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული ქონება საკუთრებაში ან სარგებლობის უფლებით გადასცეს სხვა პირს ან უფლებრივად დატვირთოს. ამასთან, იგი პასუხისმგებელია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისაგან მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

20. საკუთრების უფლების გადაცემის შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისაგან შემენილი ქონების გასხვისების შემთხვევაში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი ვალდებულია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო ოქმითა და ხელშეკრულებით. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების გასხვისების შესახებ ინფორმაცია წერილობით უნდა ეცნობოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს.

21. ოქმითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება აღმასრულებელი ორგანოს მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

22. ოქმითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ოქმითა და ხელშეკრულებით ელექტრონული აუქციონის პირობებიდან გამომდინარე. კერძოდ:

ა) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, გადაუხდელი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულების 0.1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ბ) საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

გ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის მიერ სხვა სააუქციონო და ოქმის/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს ყოველ დარღვევაზე ელექტრონულ აუქციონზე დაფიქსირებული ქონების საბოლოო ფასის 0.05%.

23. ოქმისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განიხილება ელექტრონული აუქციონის შედეგების (ოქმის) გაუქმების საფუძვლად.

24. გარიგებათა გაფორმების წესი და მყიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის N65 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

25. აუქციონი იწყება 2015 წლის 8 ივლისს 15 საათზე და სრულდება 2015 წლის 24 ივლისს 15 საათზე. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3. ტელეფონი: 24 55 46, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია.